საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მთვარელიშვილი ნიკოლოზ ვასილის ძე

მთვარელიშვილი ნიკოლოზ ვასილის ძე (1844, სოფ. ვაზისუბანი, ახლანდ. გურჯაანის მუნიციპალიტეტი, - 2. X. 1923, იქვე), პედაგოგი, პუბლიცისტი, ლიტერატორი. 1876-იდან, პეტერბურგის სას. აკად. დამთავრების შემდეგ, მუშაობდა თელავის სას. სასწავლებელში, 1884-იდან - თბილ. სათავადაზნაურო სკოლაში ქართ. ენისა და ლიტ-რის მასწავლებლად. იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზ-ბის მდივანი და გამგეობის წევრი. 1887 შეადგინა და გამოსცა საზ-ბის წიგნსაცავის კატალოგი. გარკვეული წვლილი მიუძღვის ძვ. ხელნაწერებისა და ნაბეჭდი წიგნების შეკრებაში. აქვეყნებდა სამეცნ. ნარკვევებს ქართ. პრესაში ("ივერია", "დროება", "მოამბე"). მისი ნაშრომებიდან აღსანიშნავია გამოკვლევები: "ანტონ I საქართველოს კათალიკოსი" ("ივერია", 1879), "თელავის სემინარია და პირველი მისი რექტორი გაიოზ ნაცვლიშვილი" ("ივერია", 1881), "მეფე ირაკლის დროის წერილები" ("მოამბე", 1894). მ-მა გამოსცა ს.-ს. ორბელიანის "სიბრძნე სიცრუისა" (1892), პირველმა შეკრიბა და გამოაქვეყნა ი. დავითაშვილის ნაწარმოებები (1890, ბიოგრ. ცნობებითურთ).

ლიტ.: ს ი ს ა უ რ ი ი., ნიკოლოზ მთვარელიშვილი, თბ., 2020.

გ. მიქაძე